

სს „ხრამჭესი I“

ფინანსური ანგარიშგება

**2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად**

სს „ხრამჭესი I“

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	5
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	6
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	7
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	8
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები.....	9-38

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „ხრამქეს I“-ის აქციონერებს და სამეთვალყურეო საბჭოს

მოსაზრება

ჩავატარეთ სს „ხრამქეს I“-ის (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარვმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებით არის აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IESBA) „პროფესიონალური ბუღალტერების ეთიკის საერთაშორისო კოდექსის“ (საერთაშორისო დამოუკიდებლობის სტანდარტების ჩათვლით) (IESBA კოდექსი) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს IESBA-კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცი

გვინდა ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების 17-ე შენიშვნაზე, რომელიც ეხება დაკავშირებულ მხარეებთან კომპანიის გარიგებების მნიშვნელოვან კონცენტრაციას. ჩვენი მოსაზრება ამ საკითხთან მიმართებაში მოდიფიცირებული არ არის.



**Building a better
working world**

კომპანიის 2022 წლის მმართველობით ანგარიშგებაში ასახული სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის 2022 წლის მმართველობით ანგარიშგებაში ასახულ ინფორმაციას, გარდა ფინანსური ანგარიშგებისა და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. კომპანიის 2022 წლის მმართველობითი ანგარიშგება ჩვენთვის ხელმისაწვდომი სავარაუდოდ გახდება წინამდებარე აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ფინანსურ ანგარიშგებაზე გამოხატული ჩვენი მოსაზრება არ ეხება ხელმძღვანელობის ანგარიშს და ამიტომ მასთან დაკავშირებით არ გამოვთქვამთ რამე ფორმით რწმუნებას ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნაში.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობაა წავიკითხოთ ზემოაღნიშნული სხვა ინფორმაცია, როდესაც ის ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება, და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის განმავლობაში ჩვენ მიერ მიღებულ ცოდნასთან, ან თუ შეიცავს სხვა არსებით უზუსტობას.

ხელმძღვანელობისა და სამეთვალყურეო საბჭოს პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს, შესწევს თუ არა კომპანიას უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ას-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას (ასეთის არსებობის შემთხვევაში).



**Building a better
working world**

უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ისინი ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებენ მომხმარებლების მიერ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასე-ის მიხედვით, აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ▶ გამოვავლენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორული მოსაზრების მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული რისკი, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.
- ▶ შევისწავლით აუდიტის შესაბამის შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.
- ▶ ვაფასებთ, რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მიერ აღრიცხვისთვის ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან მიმართებაში, შეძლებს თუ არა კომპანია გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღად მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა
- ▶ მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს ფინანსური ანგარიშგება საბაზისო ოპერაციებს და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნას სამართლიან წარდგენას.



**Building a better
working world**

სამეთვალყურეო საბჭოს, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც აუდიტის პროცესში გამოვავლენთ.

ანა კუსრაშვილი

შპს „იუაის“ სახელით

2023 წლის 31 იანვარი

თბილისი, საქართველო

ს. „ხრამპუსი I“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ათას ლარში

	შენიშვნა	2022	2021
ამონაგები მომზარებლებთან გაფორმებული:			
ხელშეკრულებებიდან	6	5,243	22,487
ცვეთა	9	(2,584)	(2,338)
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებლი		(1,888)	(1,938)
დაზღვევა		(702)	(739)
ქონების გადასახადი		(521)	(419)
რემონტი და ტექნიკური მომსახურება		(229)	(596)
პროფესიული მომსახურება		(245)	(334)
ტრანსპორტირების ხარჯი		(200)	(161)
საოპერაციო საქმიანობაზე გაწეული სხვა ხარჯები		(620)	(706)
საოპერაციო (ზარალი)/შემოსავალი		(1,746)	15,256
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები		(..)	(4)
ფინანსური შემოსავალი	7	1,731	1,324
შემოსულობა სასესხო მოთხოვნების ხელახლი			
შეფასებიდან	11	450	-
მოგება დაზევერამდე		434	16,576
მოგების გადასახადის შემობრუნება/(დარიცხვა)	8	1,138	(2,647)
წლის წმინდა მოგება		1,572	13,929
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		1,572	13,929

ეს ფინანსური ანგარიშგება კომპანიის ხელძღვანელობის მიერ დამტკიცდა და მისი სახელით ხელი მოეწერა 2023 წლის 31 იანვარს:

დევი კანდელაკი
გენერალური დირექტორი



ქადაგური მისამართი
ფინანსური დაზევერამდებარების მისამართი

9-38 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების ფანცულფელი
ნაწილია.

სს „ხრამჭესი I“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ათას ლარში

	2022 წლის შენიშვნა	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	47,306	44,065
აქტივის გამოყენების უფლება		96	19
არამატერიალური აქტივები		21	35
გრძელვადიან აქტივებში გადახდილი ავანსები		176	1,565
სასესხო მოთხოვნები	11	6,033	6,332
სულ გრძელვადიანი აქტივები		53,632	52,016
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები		595	627
საგადასახადო აქტივები, წმინდა		372	—
საგაჭრო დებიტორული დავალიანება	10	493	2,980
სასესხო მოთხოვნები	11	183	2,681
გადახდილი ავანსები		227	244
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	12	9,021	6,072
სულ მიმდინარე აქტივები		10,891	12,604
სულ აქტივები		64,523	64,620
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი	13		
სააქციო კაპიტალი		3,447	3,447
გადაფასების რეზერვი		10,135	10,865
გაუნაწილებელი მოგება		45,971	37,219
სულ კაპიტალი		59,553	51,531
მიმდინარე ვალდებულებები			
საგაჭრო და სხვა კრედიტორული ვალდებულება	14	4,875	5,578
წმინდა საგადასახადო დავალიანება		—	687
გადასახდელი დივიდენდი	13	—	6,800
საიჯარო ვალდებულებების მოკლევადიანი წილი		14	24
სულ მიმდინარე ვალდებულებები		4,889	13,089
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებები		81	—
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		81	—
სულ ვალდებულებები		4,970	13,089
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		64,523	64,620

9-38 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სს „ხრამჭესი I“

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ათას ლარში

	მირითადი საშუალებების სააქციო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	3,447	11,776	37,379	52,602
წლის წმინდა მოგება	-	-	13,929	13,929
გადაფასების ამორტიზაცია მარაგები	-	(911)	911	-
გამოცხადებული დივიდენდები (მე-13 შენიშვნა)	-	-	(15,000)	(15,000)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს	3,447	10,865	37,219	51,531
წლის წმინდა მოგება	-	-	1,572	1,572
გადაფასების რეზერვის ცვეთა	-	(730)	730	-
გამოცხადებული დივიდენდები (მე-13 შენიშვნა)	-	-	(350)	(350)
დივიდენდების შემობრუნება (მე-13 შენიშვნა)	-	-	6,800	6,800
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	3,447	10,135	45,971	59,553

9-38 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სს „ხრამჭესი I“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ათას ლარში

	<u>შენიშვნა</u>	2022	2021
საოპერაციო საქმიანობა			
მოგება, მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		434	16,576
არაფულადი კორექტირებები დასაბეგრი მოგების წმინდა ფულად ნაკადებთან შესაბამისობაში მოყვანის მაზრით ცვეთა	9	2,584	2,338
ამორტიზაცია		14	14
შემოსულობა მირითადი საშუალების რეალიზაციიდან		(34)	-
შემოსულობა სასესხო მოთხოვნების ხელახალი შეფასებიდან	11	(450)	-
საინვესტიციო და ფინანსურ საქმიანობაში საკურსო სხვაობიდან მიღებული წმინდა ზარალი		122	292
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები		1	4
საპროცენტო შემოსავალი	7	(1,190)	(1,305)
		1,481	17,919
სამრუნავ კაპიტალში შესული ცვლილებები			
ცვლილება სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში		32	(219)
ცვლილება სავაჭრო დებიტორულ დავალიანებაში		2,487	(1,807)
ცვლილება გადახდილ ავანსებში		17	3
ცვლილება საგადასახადო აქტივებში/ვალდებულებებში, წმინდა ცვლილება სავაჭრო და სხვა კრედიტორულ ვალდებულებაში		141	237
		(703)	(69)
		3,455	16,064
გადახდილი მოგების გადასახადი	8	(62)	(1,447)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		3,393	14,617
საინვესტიციო საქმიანობა			
ძირითად საშუალებებში გადახდილი თანხები		(4,417)	(4,546)
ძირითადი საშუალებების რეალიზაციით მიღებული შემოსავალი		34	-
შემოსავალი სასესხო მოთხოვნებიდან		2,650	2,525
მიღებული პროცენტი		1,787	774
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული / (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები		54	(1,247)
ფინანსური საქმიანობა			
გადახდილი დივიდენდები	13	(350)	(8,200)
საიჯარო ვალდებულების დაფარვა		(26)	(27)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(376)	(8,227)
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	12	3,071	5,143
წმინდა საკურსო სხვაობა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		6,072	1,221
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	12	(122)	(292)
		9,021	6,072

მნიშვნელოვანი არაფულადი ოპერაციები განხილულია მე-18 შენიშვნაში.

9-38 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სს „ხრამქესი I“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ათას ლარში

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

სს „ხრამქესი I“ (შემდგომში „კომპანია“) არის საქართველოში დაფუძნებული სააქციო საზოგადოება. კომპანიის ოფიციალური მისამართია ხრამქესი, წალკის რაიონი.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ელექტროენერგიის წარმოება. მისი ძირითადი საოპერაციო აქტივია საქართველოში, წალკის რაიონში მდებარე ჰიდროელექტროსადგური („ხრამქესი I“). წარმოებული ელექტროენერგია საქართველოში იყიდება. კომპანიის მთავარი მომხმარებლები არიან საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები - სს „თელასი“ და შპს „თბილისის ელექტრომიმწოდებელი კომპანია“.

კომპანიას „ხრამქესი I“-სთვის მიღებული აქვს ელექტროენერგიის წარმოების ლიცენზია, რომელსაც ვადა 2024 წლის 24 დეკემბერს ეწურება.

2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის აქციების 100%-ის მფლობელი იყო „გარდაბანი ჰიდვი“ (შემდგომში „მშობელი კომპანია“). მშობელი კომპანიის კონტროლს ახორციელებს ღია სააქციო საზოგადოება „ინტერ რაო ეეს“ (საბოლოო მშობელი კომპანია). ღია სააქციო საზოგადოება „ინტერ რაოს“ კონტროლს ახორციელებს რუსეთის ფედერაცია.

როგორც მე-17 შენიშვნაში აღინიშნა, კომპანია საოპერაციო საქმიანობის ძირითად ნაწილს საბოლოო მშობელი კომპანიის საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოებთან აწარმოებს.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ჯერ არ დამტკიცებულა მფლობელის მიერ. პარტნიორთა კრება, ჩვეულებრივ, ტარდება საანგარიშგებო პერიოდის მომდევნო წლის პირველ ნახევარში. მფლობელს აქვს იურიდიული უფლება შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

2. მომზადების საფუძველი

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის წესით, გარდა იმ ძირითადი საშუალებებისა, რომლებიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით გადაფასების მეთოდის საფუძველზე.

ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ათას ლარში და დამრგვალებულია ათასამდე, თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

სს „ხრამჭესი I“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისად. ახლად გამოშვებულ სტანდარტებს არ მოუხდენია მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

(ა) უცხოური ვალუტა

კომპანიის სამუშაო ვალუტაა ლარი, რაღანაც ეს არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც კომპანია ეწევა საქმიანობას. უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციების თავდაპირველ აღრიცხვას კომპანია აწარმოებს ოპერაციის თარიღისთვის დადგენილი სამუშაო ვალუტის კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისთვის სამუშაო ვალუტის სპოტ გაცვლითი კურსის შესაბამისად. კონვერტაციით წარმოშობილი ყველა სხვაობა შეტანილია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. არაფულადი მუხლების კონვერტაცია, რომლებიც პირვანდელი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, ხდება თავდაპირველი ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით.

(ბ) აქტივებისა და ვალდებულებების მიმდინარე და გრძელვადიანად კლასიფიკაცია

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლევადიანად/გრძელვადიანად კლასიფიკირებულზე. აქტივი მიმდინარეა, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ მისი ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მიმდინარეა, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია გრძელვადიანის კატეგორიას მიაკუთვნებს.

სს „ხრამქესი I“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(გ) ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც ერთი საწარმოსთვის წარმოშობს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორესთვის - ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

(i) ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივები კლასიფიცირება ხდება როგორც შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში და სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. ხელმძღვანელობა განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას და განმეორებით აფასებს მას.

ფინანსური აქტივების ისეთი ყიდვა-გაყიდვა, როდესაც საჭიროა აქტივების ჩაბარება ნორმატიული აქტებით ან ბაზარზე დამკვიდრებული პრაქტიკით (გარიგების სტანდარტული პროცედურა) გათვალისწინებულ ვადაში აღირიცხება გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც კომპანია იღებს აქტივის შესყიდვის ან გაყიდვის ვალდებულებას.

შემდგომი შეფასება

შემდგომი შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები ოთხ კატეგორიად იყოფა:

- ▶ ფინანსური აქტივები ამორტიზებული ღირებულებით
- ▶ სხვა სრულ შემოსავალში ასახვით სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები კუმულაციური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკით (სასესხო ინსტრუმენტები);
- ▶ სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, აღიარების შეწყვეტისას კუმულაციური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკით გარეშე;
- ▶ მოგებასა და ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები.

ფინანსური აქტივები ამორტიზებული ღირებულებით

კომპანია ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს, თუ დაკმაყოფილებულია ქვემოთ მოცემული ორივე პირობა:

- ▶ ფინანსური აქტივი ამ ბიზნესმოდელის მიხედვით მფლობელობაშია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების მიზნით; და
- ▶ ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ მირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს დაუფარავ მირითად თანხაზე.

სს „ხრამჭესი I“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. მწიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(გ) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები შემდეგ ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და ექვემდებარება გაუფასურებას. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება მოება-ზარალში მაშინ, როდესაც წყდება აქტივის აღიარება, ან ხდება აქტივის მოდიფიცირება ან გაუფასურება.

კომპანიამ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი უნდა აღრიცხოს თავის ყველა სავალო ფინანსურ აქტივზე ამორტიზებული ღირებულებით. კომპანია იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის გამარტივებულ მეთოდს. შესაბამისად, კომპანია, ნაცვლად საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვისა, აღიარებს ზარალის ანარიცხს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ვადაზე თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის. კომპანიამ შეადგინა ანარიცხების მატრიცა, რომელიც ეყრდნობა საკრედიტო ზარალის წარსულ გამოცდილებას და დაკორეტირებულია დებიტორებისა და ეკონომიკური გარემოსთვის დამახასიათებელი პერსპექტიული ფაქტორების შესაბამისად.

კომპანია ფინანსურ აქტივს ვადაგადაცილებულად მიიჩნევს, როდესაც სახელშეკრულებო გადახდები ვადაგადაცილებულია 90 დღით. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, კომპანიამ შეიძლება ფინანსური აქტივი ვადაგადაცილებულად მაშინაც მიიჩნიოს, როდესაც შიდა ან გარე ინფორმაცია მიანიშნებს იმაზე, რომ სავარაუდოდ კომპანია სრულად ვერ მიიღებს დაუფარავ სახელშეკრულებო თანხებს, კომპანიის მფლობელობაში არსებული საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებების გათვალისწინების გარეშე. ფინანსური აქტივი ჩამოიწერება მაშინ, როდესაც არ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღება მოხდება.

ყველა ის ფინანსური აქტივი, რომელსაც კომპანია ფლობს 2022 წლისა და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფასდება ამორტიზებული ღირებულებით და მოიცავს სავაჭრო დებიტორულ დავალიანებას, სასესხო მოთხოვნებს და ფულად სახსრებს და მათ ევივალენტებს.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშიდან ამოღება) ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ▶ ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა, ან
- ▶ კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

სს „ხრამჭესი I“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. მწიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(გ) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

თუ კომპანიამ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან გააფორმა ამაზე ხელშეკრულება, იგი აფასებს, შეინარჩუნა თუ არა ან რამდენად შეინარჩუნა ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული რისკები და სარგებელი. როდესაც კომპანიას არც გადაუცია და არც შეუნარჩუნებია აქტივთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, და არც აქტივზე კონტროლი აქვს გადაცემული, კომპანია აგრძელებს გადაცემული აქტივის აღიარებას იმდენად, რამდენადაც კომპანია მასში იქნება ჩართული. ასეთ შემთხვევაში კომპანია მასთან დაკავშირებულ ვალდებულებასაც აღიარებს. გადმოცემული აქტივი და მასთან დაკავშირებული ვალდებულება ფასდება კომპანიის მიერ შენარჩუნებული უფლება-მოვალეობების საფუძველზე.

(ii) ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

თავდაპირველი შეფასებისას ფინანსური ვალდებულებები წაწილდება შემდეგ კატეგორიებში: სამართლიანი ღირებულებებით შეფასებული და მოგება-ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულებები, სესხები და ნასესხები სახსრები, კრედიტორული ან წარმოებული ვალდებულებები, რომლებიც განისაზღვრება ჰეჯირების ინსტრუმენტებად ეფექტური ჰეჯირების განხორციელების დროს.

ყველა ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით და, ნასესხები სახსრების და კრედიტორული ვალდებულების შემთხვევაში, აკლდება მათთან უმუალოდ დაკავშირებული გარიგების დანახარჯები.

კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება 2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილია სავაჭრო და სხვა კრედიტორულ ვალდებულებასა და გადასახდელ დივიდენდებში.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ სესხების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. შემოსულობის და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში ვალდებულების აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ამორტიზებული ღირებულება გამოანგარიშებულია ნებისმიერი დისკონტის ან შესყიდვის პრემიის, აგრეთვე საზღაურების თუ ხარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი წაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ამორტიზაცია აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ფინანსური ხარჯების სახით.

სს „ხრამქესი I“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(გ) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება. როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ჩაანაცვლებს მეორე ფინანსური ვალდებულება იმავე კრედიტორის მიმართ მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობებით, ან თუ მიძინარე ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ჩანაცვლება ან ცვლილება აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების გაუქმება და ახალი ვალდებულების აღიარება. შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის სხვაობის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

(iii) ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაეჭითვა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა მოხდება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის იურიდიული უფლება და ურთიერთგაეჭითვის ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის სურვილი.

(iv) სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა

კომპანია ინსტრუმენტებს და არაფინანსურ აქტივებს, მაგალითად ძირითად საშუალებებს, აფასებს სამართლიანი ღირებულებით საბალანსო უწყისის თითოეული თარიღისთვის.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად, ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულებით შეფასება ეყრდნობა იმ ვარაუდს, რომ ადგილი აქვს აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის გარიგებას:

- ▶ აქტივის ან ვალდებულების მთავარ ბაზარზე, ან
- ▶ მთავარი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში, აქტივის ან ვალდებულების ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

მთავარი ან ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი კომპანიისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით.

არაფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულების შეფასება უნდა ითვალისწინებდეს ბაზრის მონაწილის შესაძლებლობას მიიღოს ეკონომიკური სარგებელი ამ აქტივის საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოყენებით, ან მისი მიყიდვით ბაზრის სხვა მონაწილისათვის, რომელიც ამ აქტივს საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოიყენებს.

სს „ხრამჭესი I“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. მწიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(გ) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

კომპანია ირჩევს შეფასების მეთოდებს, რომელიც შესაფერისია არსებული გარემოებებისთვის და რომელთა გამოყენებითაც სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად საკმარისი მონაცემები მოიძებნება, რომლებიც მაქსიმალურად იყენებენ საბაზრო - და მინიმალურად - არასაბაზრო მონაცემებს.

სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ან ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ყველა აქტივი და ვალდებულება ნაწილდება ქვემოთ წარმოდგენილი სამართლიანი ღირებულების იერარქიის მიხედვით, რაც ეყრდნობა იმ ყველაზე დაბალი დონის ამოსავალ მონაცემს, რომელიც მწიშვნელოვანია მთლიანად სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად:

- ▶ დონე 1 – იდენტური აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკორექტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე;
- ▶ დონე 2 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა;
- ▶ დონე 3 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის განსაზღვრა.

ფინანსურ ანგარიშგებაში რეგულარულად აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების იერარქიის ერთი დონიდან მეორეში გადასვლის ფაქტს კომპანია განსაზღვრავს კატეგორიზაციის განმეორებითი შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე) ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოსთვის.

სამართლიანი ღირებულების შესახებ განმარტებითი შენიშვნების მიზნებისთვის, კომპანიამ აქტივების და ვალდებულებების კლასი განსაზღვრა აქტივის ან ვალდებულების ხასიათის, თვისებებისა და რისკების ან, ზემოაღნიშნული განმარტების შესაბამისად, სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონის მიხედვით.

ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების ანალიზი და დამატებითი დეტალები მათი შეფასების მეთოდების შესახებ მოცემულია მე-15 შენიშვნაში.

(დ) ძირითადი საშუალებები

(i) აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები ფასდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გადაფასების თარიღის შემდეგ აღიარებული გაუფასურების ზარალი. შეფასება ხდება საკმარისი სიხშირით, რომ გადაფასებული აქტივის სამართლიანი ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს მისი საბალანსო ღირებულებისგან.

სს „ხრამჭესი I“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(დ) ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

თვითღირებულება მოიცავს აქტივის შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯებს. კომპანიის მიერ აშენებული აქტივების თვითღირებულება მოიცავს მასალისა და შრომის პირდაპირ დანახარჯებს და ყველა სხვა ხარჯს, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება აქტივის დანიშნულებისამებრ გამოყენებისთვის შესაბამის მდგომარეობაში მოსაყვანად, დემონტაჟის და მოხსნის ხარჯებს, ასევე იმ ტერიტორიის რეაბილიტაციის ხარჯებს, რომლებზეც ეს აქტივები მდებარეობს და შესაბამის აქტივებთან დაკავშირებული სესხით სარგებლობასთან დაკავშირებულ დანახარჯებს. შესყიდული პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც აუცილებელია შესაბამისი აღჭურვილობის ფუნქციონირებისთვის, კაპიტალიზდება, როგორც ამ აღჭურვილობის განუყოფელი ნაწილი.

თუ ძირითადი საშუალებების ერთეულებს სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადა აქვთ, ისინი აღირიცხება ძირითადი საშუალებების ცალკე ერთეულებად (ძირითად კომპონენტებად).

გადაფასების ყოველგვარი ნამეტის აღიარება ხდება სხვა სრულ შემოსავალში და ერიცხება კაპიტალს ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვის ნაწილში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იგი შეაბრუნებს ამავე აქტივის გადაფასების შედეგად შემცირებულ ღირებულებას, რომელიც მანამდე ხარჯად იყო აღიარებული. ასეთ შემთხვევაში ღირებულების გაზრდის აღიარება ხდება გადაფასების შედეგად მიღებული შემოსულობის სახით. გადაფასების დეფიციტის აღიარება ხდება ხარჯის სახით გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იგი გაქვითავს ამავე აქტივზე არსებულ ნამეტს, რაც აღიარებულია ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვში.

აქტივების გადაფასების რეზერვიდან წლიური გადატანა გაუნაწილებელ მოგებაზე ხდება აქტივის გადაფასებული საბალანსო ღირებულების ცვეთასა და აქტივის თავდაპირველი ღირებულების ცვეთას შორის სხვაობით. გარდა ამისა, გადაფასების თარიღისთვის დაგროვილი ცვეთა ჩამოიწერება აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულებიდან და წმინდა ღირებულების გადაანგარიშება ხდება აქტივის გადაფასებული ღირებულების მისაღებად. გაყიდვისას კონკრეტულ აქტივთან დაკავშირებული მთლიანი გადაფასების რეზერვი გადაიტანება გაუნაწილებელ მოგებაზე. ცვეთა ხდება დარიცხვის წრფივი მეთოდით აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი შემოსულობა ან მოგება (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) შედის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როდესაც ხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა.

სს „ხრამჭესი I“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(დ) ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

(ii) შემდგომი დანახარჯები

ძირითადი საშუალების ნაწილის შეცვლის ხარჯის აღიარება ხდება ამ ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაში თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს ამ ნაწილის თანმდევ სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს და თუ მისი ხარჯის სარწმუნოდ შეფასება შეიძლება. შეცვლილი ნაწილის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. ძირითადი საშუალებების ტექნიკური მომსახურების ყოველდღიური ხარჯის აღიარება ხდება მისი დადგომისთანავე სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

(iii) ცვეთა

ცვეთის აღიარება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხდება ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით, რადგანაც ეს ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას. ცალკეული აქტივის მნიშვნელოვანი კომპონენტები ფასდება და თუ ამ კომპონენტს აქტივის დანარჩენი ნაწილისგან განსხვავებული სასარგებლო მომსახურების ვადა აქვს, მისი ცვეთა განსხვავებულად ხორციელდება. მიწას ცვეთა არ ერიცხება. ცვეთის დარიცხვის მეთოდები, სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულებები გადაისინჯება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისად კორექტირდება.

მიმდინარე, ასევე შესადარისი პერიოდებისთვის სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადებია:

შენობა-ნაგებობები	54 წლამდე
ქარხანა და მოწყობილობები	2-30 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	2-11 წელი
სხვა	2-9 წელი

(გ) სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური მარაგის თვითღირებულება ეყრდნობა საშუალო შეწონილი ღირებულების პრინციპს და მოიცავს მარაგების შეძენის ხარჯებს, ასევე წარმოების ხარჯს, წარმოების თვითღირებულებას და სხვა ხარჯებს, რომელთა გაწევაც გახდა საჭირო მარაგების არსებულ მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება გამოითვლება, როგორც ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში სავარაუდო გასაყიდ ფასს გამოკლებული დასრულების და რეალიზაციის სავარაუდო ხარჯი.

სს „ხრამჭესი I“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(3) არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი თარიღისთვის კომპანია აფასებს, არსებობს თუ არა აქტივის გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ან როდესაც აქტივის წლიური შემოწმება საჭირო მისი გაუფასურების დასადგენად, კომპანია აფასებს აქტივის აღდგენით ღირებულებას. აქტივის აღდგენითი ღირებულება არის აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გასვლასთან დაკავშირებული ხარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. აქტივის აღდგენითი ღირებულება განისაზღვრება ცალკეული აქტივისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივიდან არ ხდება ფულადი სახსრების შემოდინება, რომლებიც მეტწილად დამოუკიდებელია სხვა აქტივებიდან ან აქტივების ჯგუფიდან მიღებული ფულადი სახსრებისგან. როდესაც აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება გადააჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას, აქტივი ითვლება გაუფასურებულად და ჩამოიწერება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე.

გამოყენების ღირებულების შესაფასებლად საგარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დაბეგვრამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს. აქტივის გასვლასთან დაკავშირებული ხარჯით შემცირებული სამართლიანი ღირებულების გამოთვლა ხდება ბოლოდროინდელი საბაზრო გარიგებების გათვალისწინებით. თუ ასეთი გარიგებების განსაზღვრა ვერ ხერხდება, გამოიყენება შეფასების სხვა შესაფერისი მეთოდი. ეს გამოთვლები დასაბუთდება შეფასების კოეფიციენტებით, აქციათა კოტირებული ფასებით საფონდო ბირჟაზე რეგისტრირებული კომპანიების შემთხვევაში და სამართლიანი ღირებულების სხვა ხელმისაწვდომი მაჩვენებლებით.

კომპანია გაუფასურებას გამოითვლის დეტალური ბიუჯეტისა და პროგნოზირებული გაანგარიშების საფუძველზე, რომლებიც ინდივიდუალურად მზადდება კომპანიის ფულადი ნაკადების წარმომქმნელი თითოეული ერთეულისთვის, რომლისთვისაც გამოყოფილია ესა თუ ის აქტივი. ასეთი ბიუჯეტები და ფინანსური პროგნოზები ჩვეულებრივ ხუთწლიან პერიოდს მოიცავს. უფრო ხანგრძლივი პერიოდისთვის გამოითვლება გრძელვადიანი ზრდის ტემპი, რომელიც გამოიყენება ხუთი წლის შემდგომი ფულადი ნაკადების პროგნოზირებისთვის.

უწყვეტი ოპერაციების გაუფასურებით გამოწვეული ზარალი, სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაუფასურების ჩათვლით, აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგების ხარჯების კატეგორიებში გაუფასურებული აქტივის ფუნქციის შესაბამისად, გარდა მანამდე გადაფასებული ქონებისა, რომლის გადაფასების რეზერვიც აისახა სხვა სრულ შემოსავალში. ასეთი ქონების შემთხვევაში, გაუფასურების აღიარება ხდება სხვა სრულ შემოსავალში ნებისმიერი წინა გადაფასების თანხამდე.

სს „ხრამქესი I“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(ვ) არაფინანსური აქტივების გაუფასურება (გაგრძელება)

ისეთი აქტივების შემთხვევაში, რომლებშიც გუდვილი არ შედის, ანგარიშგების ყოველი თარიღით ფასდება, არსებობს თუ არა იმის ნიშანი, რომ მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალი აღმოფხვრილი ან შემცირებულია. თუ ამის ნიშნები მართლაც არსებობს, კომპანია აფასებს აქტივის ან ფულადი სახსრების წარმოქმნელი ერთეულის აღდგენით ღირებულებას. გაუფასურების შედეგად განცდილი უკვე აღიარებული ზარალის შებრუნება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ გაუფასურებით გამოწვეული ზარალის ბოლო აღიარების შემდეგ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განმსაზღვრელ დაშვებებში გარკვეული ცვლილებებია მომხდარი. ამობრუნების შედეგად აქტივის საბალანსო ღირებულებამ არ უნდა გადააჭარბოს მის ანაზღაურებად ღირებულებას და ასევე არ უნდა გადააჭარბოს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა ცვეთის გამოკლებით, წინა წლებში აქტივის გაუფასურებით გამოწვეული ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. შემობრუნების აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აქტივი აღრიცხულია გადაფასებული ღირებულებით, რა შემთხვევაშიც შემობრუნება აღირიცხება, როგორც გადაფასებული ღირებულების ზრდა.

(ზ) ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

კომპანია ელექტროენერგიის წარმოების სფეროში საქმიანობს. წარმოებული ელექტროენერგია იყიდება საბოლოო მშობელი კომპანიის საერთო კონტროლის ქვეშ მყოფ ელექტროენერგიის გამანაწილებელ კომპანიაზე და პირდაპირ მესამე პირზე. ელექტროენერგია იყიდება ცალკეული ხელშეკრულების ფარგლებში და ელექტროენერგიის რეალიზაცია ერთადერთ შესასრულებელი ვალდებულებას წარმოადგენს. შესასრულებელი ვალდებულება დაკამაყოფილებულია და შემოსავლის აღიარება ისეთ დროს მოხდება, როდესაც აქტივზე კონტროლი გადაეცემა მომხმარებელს, რაც აქტივის ჩაბარების მომენტში ხდება.

შემოსავლების ასახვა ხორციელდება იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანიაში ეკონომიკური სარგებლის შემოდინების აღბათობა მაღალია. ამასთან, შესაძლებელია შემოსავლების სარწმუნოდ შეფასება მიუხედავად იმისა, თუ როდის განხორციელდება გადახდა.

შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, გადახდის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით და გადასახადებისა და მოსაკრებლების გამოკლებით. კომპანია იყენებს პრაქტიკულ მიდგომას მნიშვნელოვანი ფინანსური კომპონენტის არსებობასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს, რომ ანაზღაურების დაპირებული თანხა არ კორექტირდება მნიშვნელოვანი ფინანსური კომპონენტის ეფექტის შესაბამისად, თუ პერიოდი დაპირებული საქონლის გადაცემიდან ღირებულების გადახდამდე ერთი წელი ან ნაკლები იქნება.

ელექტროენერგიის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი გამოითვლება ყოველთვიურად მომხმარებლებისთვის მიყიდული ელექტროენერგიის ოდენობის საფუძველზე, რომელიც განისაზღვრება საქართველოს მაღალი ძაბვის ელექტროენერგიის მდგრადი საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის მიერ გაცემული ელექტროენერგიის მიღება-ჩაბარების აქტითა და მომხმარებლებთან შეთანხმებით.

სს „ხრამჭესი I“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. მწიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(ხ) ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან (გაგრძელება)

ელექტროენერგიის ტარიფებს საქართველოში არეგულირებს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია (სემეკი). სემეკის 2019 წლის 28 ნოემბრის ბრძანებით, 2019 წლის 1 დეკემბრიდან 1 მვ/სთ-ის ტარიფი განისაზღვრა 0,10837 ლარის ოდენობით და ეს ტარიფი 2021 წლის 31 დეკემბრამდე გამოიყენებოდა. 2022 წლის 1 იანვრიდან 1 მვ/სთ-ის ღირებულება შემცირდა 0,023 ლარამდე სემეკის 2017 წლის 31 ოქტომბრით დათარიღებული ბრძანების შესაბამისად, რომელიც მოიცავს პერიოდს 2022 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 31 დეკემბრამდე.

(თ) გადასახადები

(I) მოგების გადასახადი

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბერება საქართველოში (მე-8 შენიშვნა). მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით, იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად გადახდის ფაქტიური თარიღისა ან იმ პერიოდისა, როდესაც დივიდენდები გადაიხდება. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო კრედიტორული ვალდებულებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის აქციონერებზე დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული საგადასახადო კრედიტორული დავალიანება კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და აღირიცხება, როგორც სხვა გადასახადები სხვა საოპერაციო ხარჯებში მოგებაში ან ზარალში.

სს „ხრამჭესი I“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. მწიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(თ) გადასახადები (გაგრძელება)

(ii) დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, გარდა იმ შემთხვევებისა:

- ▶ როდესაც აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, ასეთ შემთხვევაში, დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება ხდება აქტივის შესყიდვის ღირებულების ნაწილად ან ხარჯების მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე.
- ▶ დებიტორული დავალიანებისა და კრედიტორული ვალდებულებისა, რომლებიც მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

საგადასახადო ორგანოებისთვის გადასახდელი ან მათგან დასაბრუნებელი დამატებული ღირებულების გადასახადის წმინდა ოდენობა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშის დღგ აქტივის (ანაზღაურებადი დღგ) ან ვალდებულების ნაწილში.

(ი) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ფულადი სახსრები და მოკლევადიანი დეპოზიტები მოიცავს ფულად სახსრებს ბანკში და სალაროში და მოკლევადიან დეპოზიტებს, რომელთა ვადაც სამი თვე ან უფრო ნაკლებია.

(კ) ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს მიმდინარე (იურიდიული ან კონსტრუქციული) ვალდებულებები წარსულში მომზღდარი მოვლენების გამო, ვალდებულებების შესასრულებლად მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება და ასევე შესაძლებელია ვალდებულებების მოცულობის მეტ-ნაკლები სიზუსტით შეფასება. თუ კომპანია მოელის ანარიცხების მთლიანად ან ნაწილობრივ ანაზღაურებას, მაგალითად სადაზღვევო ხელშეკრულების საფუძველზე, ანაზღაურების აღიარება ხდება ცალკე აქტივის სახით, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც ანაზღაურება გადაწყვეტილია. ანარიცხებთან დაკავშირებული ხარჯები წარმოდგენილია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ნებისმიერი ანაზღაურების გამოკლებით.

(ლ) იჯარა

ხელშეკრულების გაფორმებისას კომპანია აფასებს ხელშეკრულება წარმოადგენს ან მოიცავს თუ არა იჯარას. ეს იმას ნიშნავს, გადასცემს თუ არა ხელშეკრულება იდენტიფიცირებული აქტივების სარგებლობის კონტროლის უფლებას დროის კონკრეტულ მომენტში, ანაზღაურების სანაცვლოდ.

სს „ხრამქესი I“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. მწიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(ლ) იჯარა (გაგრძელება)

კომპანია, როგორც მოიჯარე

კომპანია აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას იჯარის დაწყების თარიღში. აქტივის გამოყენების უფლება თავდაპირველად თვითღირებულებით ფასდება, რაც მოიცავს იჯარის ამოქმედების თარიღში ან ამ თარიღამდე განხორციელებული საიჯარო გადახდებით დაკორექტირებული საიჯარო ვალდებულების საწყის ოდენობას. ამას ემატება თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები და საბაზისო აქტივის დემონტაჟსა და ობიექტიდან გატანასთან, ან საბაზისო აქტივის ან ადგილმდებარეობის ობიექტის აღდგენასთან დაკავშირებული სავარაუდო დანახარჯები და აკლდება ნებისმიერი მიღებული საიჯარო შეღავათი.

აქტივის გამოყენების უფლებას შემდგომში ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდის გამოყენებით, იჯარის დაწყების თარიღიდან სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებამდე ან საიჯარო ვადის ბოლო თარიღამდე, რომელიც უფრო ადრე დადგება. აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ძირითადი საშუალებების ანალოგიურ საფუძველზე. ამასთან, აქტივის გამოყენების უფლება პერიოდულად მცირდება გაუფასურების ზარალით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და იცვლება საიჯარო ვალდებულების კონკრეტული გადაფასების შესაბამისად.

საიჯარო ვალდებულება თავდაპირველად ფასდება იჯარის დაწყების თარიღში გადაუხდელი საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირდება საიჯარო ხელშეკრულებაში წაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, ან, იმ შემთხვევაში, თუ ამგვარი განაკვეთის ობიექტურად შეფასება შეუძლებელია, კომპანიის ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთით.

(მ) ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები

კომპანიას ვადაზე ადრე არ მიუღია სტანდარტი, ინტერპრეტაცია თუ ცვლილება, რომლებიც გამოშვებულია, მაგრამ ჯერ ძალაში არ არის შესული.

„დამამძიმებელი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ხარჯი“ - ბასს (IAS) 37-ის ცვლილება

დამამძიმებელი ხელშეკრულება არის კონტრაქტი, რომლითაც სახელშეკრულებო გარდაუვალი ვალდებულებების შესრულების ხარჯები

სს „ხრამქესი I“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. მწიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(გ) ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები (გაგრძელება)

აჭარბებს მის საფუძველზე მოსაალოდნელ ეკონომიკურ სარგებელს. ცვლილებებში მითითებულია, რომ იმის შეფასებისას, ხელშეკრულება დამამდიმებელია თუ ზარალის მომტანი, საწარმომ უნდა გაითვალისწინოს ხარჯები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება საქონლის ან მომსახურების უზრუნველყოფის ხელშეკრულებას, მათ შორის ზღვრული ხარჯებიც (მაგ. პირდაპირი შრომის და მასალის ხარჯები) და უშუალოდ სახელშეკრულებო საქმიანობებთან დაკავშირებული ხარჯების გადანაწილება (მაგ. ხელშეკრულების შესასრულებლად გამოყენებული მოწყობილობების ამორტიზაცია და ხელშეკრულების მართვის და ზედამხედველობის ხარჯები). საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები პირდაპირ არ უკავშირდება ხელშეკრულებას და ისინი გამოირიცხება, სანამ გარკვევით არ იქნება განსაზღვრული, რომ ისინი ერიცხება ხელშეკრულების კონტრაგენტს. აღნიშნულ ცვლილებას გავლენა არ ჰქონია ფინანსურ ანგარიშგებაზე.

„ძირითადი საშუალებები: „შემოსავალი დანიშნულებისამებრ გამოყენებამდე“ - ზასს (IAS) 16-ის „იჯარა“ ცვლილება

ცვლილება საწარმოებს უკრძალავს ძირითადი საშუალების ღირებულებიდან წარმოებული ერთეულების გაყიდვიდან მიღებული ნებისმიერი ამონაგების გამოკლებას, ამგვარი აქტივის ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული ფორმით ფუნქციონირებისთვის საჭირო ადგილმდებარეობაზე და მდგომარეობაში მოყვანის დროს. ამის ნაცვლად, საწარმო აღიარებს ამონაგებს ამგვარი ერთეულების რეალიზაციიდან და მათი წარმოების ხარჯებს მოგებაში ან ზარალში.

ამ ცვლილებებს გავლენა არ ჰქონია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე, რადგან ძირითადი საშუალებების ერთეულების რეალიზაციას ადგილი არ ჰქონია წარმოდგენილი ყველაზე ადრეული პერიოდის დაწყებისას ან მისი დაწყების შემდეგ.

ფასს (IFRS) 1 - „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება - შვილობილი კომპანიები, რომელიც პირველად იყენებს ფასს სტანდარტებს“

ცვლილება უფლებას აძლევს შვილობილ კომპანიას, რომელიც გადაწყვეტს გამოიყენოს ფასს (IFRS) 1-ის პუნქტი D16(a) კუმულაციური საკურსო სხვაობის დასაანგარიშებლად გამოიყენოს მშობელი კომპანიის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი თანხები, მშობელი კომპანიის მიერ ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღის გათვალისწინებით, თუ კონსოლიდირების პროცედურებთან მიმართებაში არ იქნება გამოყენებული კორექტირება და იმ საწარმოთა გაერთიანების გათვალისწინებით, რომელშიც მშობელმა კომპანიამ შეიძინა შვილობილი კომპანია. ეს ცვლილება ასევე გამოიყენება მეკავშირე საწარმოსთან ან ერთობლივ საწარმოსთან მიმართებით, რომლებიც ფასს (IFRS) 1-ის B6(a) პუნქტის გამოყენება აქვთ შერჩეული.

ამ ცვლილებებს გავლენა არ აქვს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე, რადგან ის არ არის საწარმო, რომელიც პირველად იყენებს ფასს-ს.

სს „ხრამჭესი I“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. მწიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(მ) ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები (გაგრძელება)

ფასს (IFRS) 9 - „ფინანსური ინსტრუმენტები“ - გადასახდელები „10-პროცენტიანი“ ტესტის ფარგლებში, ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტისთვის

ცვლილება იძლევა იმ გადასახდელების კლასიფიცირებას, რომელსაც მიმართავს საწარმო იმის განსაზღვრებისას, ახალი ან მოდიფიცირებული ფინანსური ვალდებულების ვადები არსებითად განსხვავდება თუ არა თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების ვადებისგან. ეს მოიცავს მხოლოდ მსესხებელსა და გამსესხებელს შორის გადახდილ ან მიღებულ გადახდებს, მათ შორის მსესხებლის ან გამსესხებლის მიერ სხვა პირის სახელით განხორციელებულ ან მიღებულ გადახდებს. ბასს (IAS) 39-ისთვის („ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“) მსგავსი ცვლილება შემოთავაზებული არ არის.

ამ ცვლილებებს გავლენა არ ჰქონია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე, რადგან პერიოდის განმავლობაში კომპანიის ფინანსური ინსტრუმენტების მოდიფიცირება არ მომხდარა.

ბასს (IAS) 41 „სოფლის მეურნეობა“ - დაბეგვრა სამართლიანი ღირებულებით შეფასებაში

ეს ცვლილება აუქმებს ბასს (IAS) 41-ის 22-ე პუნქტს, რომელიც გადასახადებიდან ფულადი ნაკადების გამორიცხვის უფლებას იძლევა აქტივების სამართლიანი ღირებულების შეფასებისას ბასს (IAS) 41-ის ფარგლებში. ამ ცვლილებებს გავლენა არ ჰქონია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე, რადგან ის არ ფლობდა აქტივებს ბასს (IAS) 41-ის ფარგლებში საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით.

4. შეფასებები და დაშვებები

ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისაგან მოითხოვს მოსაზრებების, შეფასებებისა და დაშვების გაკეთებას, რაც გავლენას ახდენს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს წარმოდგენილი შემოსავლების, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე. თუმცა ამ დაშვებებისა და შეფასებების სუბიექტური ხასიათის გამო შეიძლება მნიშვნელოვანი კორექტირებების შეტანა გახდეს საჭირო მომავალი პერიოდების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში.

(ა) მოსაზრებები

ქვემოთ წარმოდგენილია კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გატარების პროცესში ხელმძღვანელობის მიერ გამოთქმული მოსაზრებები, რომლებიც ყველაზე მეტად მოქმედებს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე:

სს „ხრამჭესი I“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

4. შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

(ა) მოსაზრებები (გაგრძელება)

(i) ძირითადი საშუალებების სამართლიანი შეფასების სიხშირე

კომპანიამ თავისი ძირითადი საშუალებების აღრიცხვისთვის გადაფასების პოლიტიკა აირჩია. ბასს (IAS) 16 (ძირითადი საშუალებები) ანგარიშვალდებული საწარმოსგან მოითხოვს გადაფასების სათანადო სიხშირით განხორციელებას, იმის უზრუნველსაყოფად, რომ საბალანსო ღირებულება არსებითად არ იყოს განსხვავებული, რაც განსხვავებაზე სამართლიანი ღირებულების გამოყენებით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ძირითადი საშუალებების ბოლო გადაფასება მოხდა 2020 წლის 30 სექტემბერს და ასახულია ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებაში 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. კომპანიის განსჯის თანახმად, ძირითადი საშუალებების გადაფასების აუცილებლობა 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ დგას, რადგან ბოლო გადაფასების თარიღიდან ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს ან გარემოებებს, რომლებიც მიანიშნებდა არსებით განსხვავებაზე კომპანიის ძირითადი საშუალებების სამართლიან და საბალანსო ღირებულებებს შორის 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

(ბ) შეფასებები და დაშვებები

მომავალთან დაკავშირებით გაკეთებული ძირითადი დაშვებები და შეფასები და ასევე სხვა განუსაზღვრელობები საანგარიშო თარიღისათვის, რომელთა გამოც მომავალ ფინანსურ წელს შეიძლება საჭირო გახდეს მნიშვნელოვანი კორექტირების შეტანა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში, აღწერილია ქვემოთ. კომპანიამ თავისი დაშვებებისა და შეფასებების საფუძვლად გამოიყენა ის ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომი იყო ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს.

თუმცა არსებული გარემოებები და დაშვებები მომავალ მოვლენებთან დაკავშირებით შეიძლება შეიცვალოს ბაზარზე ან გარემოებებში ისეთი ცვლილებების გამო, რაც არ ექვემდებარება კომპანიის კონტროლს. ასეთი ცვლილებები დაშვებებში აისახება მათი დადგომისთანავე.

(i) მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი

კომპანიამ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი უნდა აღრიცხოს თავის ყველა სავალო ფინანსურ აქტივზე ამორტიზებული ღირებულებით. სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებაზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისას კომპანია გამარტივებულ მიდგომას, ხოლო გაცემულ სესხებზე - ზოგად მიდგომას იყენებს.

სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებასთან მიმართებით, ხელმძღვანელობამ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დაინგარიშა ამ ფინანსური ინსტრუმენტების ვადის გათვალისწინებით. კომპანიამ გამოიყენა კომპანიის საკრედიტო ზარალის გამოცდილების გათვალისწინებით მომზადებული ანარიცხის მოდელი, რომელიც მოვალეების მომავალზე ორიენტირებულ ფაქტორებს და ეკონომიკურ გარემოს მოერგო.

სს „ხრამჭესი I“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

4. შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

(ბ) შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

დაკავშირებულ მხარეებზე გაცემულ სესხებთან დაკავშირებით, ხელმძღვანელობამ განსაზღვრა, რომ თავდაპირველი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას ადგილი არ ჰქონია და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 12 თვეში მოსალოდნელი დეფოლტის საფუძველზე განსაზღვრა. ასევე განისაზღვრა, ჰქონდა თუ არა ადგილი საკრედიტო რისკის, დეფოლტის ალბათობის და დეფოლტის შემთხვევაში დაწარგების მნიშვნელოვან ზრდას სასესხო მოთხოვნების მოსალოდნელ საკრედიტო ზარალთან დაკავშირებით 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

კომპანიამ შეაფასა, რომ მის ფინანსურ აქტივებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არაა რეგისტრირებულ და მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე ანარიცხი არ აღიარებულა (მე-10 და მე-11 შენიშვნები).

5. სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა

სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ კომპანიის ფინანსური ანგარიშების გამოშვების თარიღის მდგომარეობით ჯერ ძალაში არ შესულა, მოცემულია ქვემოთ. კომპანია არ მოელის მის ფინანსურ ანგარიშებაზე არსებით გავლენას ამ სტანდარტებისა და ცვლილებების გამოყენებით:

- ▶ სააღრიცხვო შეფასებების განმარტება - ბასს (IAS) 8-ის ცვლილება (ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან);
- ▶ ფასს (IFRS) 17 „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ (ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან)
- ▶ ცვლილებები ბასს (IAS) 1-ში - „ვალდებულებების მოკლე და გრძელვადიანად კლასიფიცირება“ (ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან)
- ▶ სააღრიცხვო პოლიტიკებთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნა - ბასს (IAS) 1-ის ცვლილება და განცხადება 2 ფასს-ების გამოყენების პრაქტიკის შესახებ (ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან)
- ▶ ერთი გარიგებიდან წარმოშობილ აქტივებსა და ვალდებულებებთან დაკავშირებული გადავადებული გადასახადი - ბასს (IAS) 12-ის ცვლილება.

სს „ხრამჭესი I“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

6. ამონაგები მომხმარებლებითან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

მომხმარებლებითან გაფორმებული ხელშეკრულებიდან ამონაგების უმეტესობა უკავშირდება შემოსავლებს ელექტროენერგიის რეალიზაციიდან. შემოსავალი საქართველოში წარმოიშვება. შემოსავლის დანაწევრების სტრუქტურა მომხმარებლების მიხედვით არის შემდეგი:

	2022	2021
შემოსავალი საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ პირებთან გაყიდვებიდან (მე-17 შენიშვნა)	4,634	17,316
მესამე პირებზე გაყიდვით მიღებული შემოსავალი	492	3,817
შემოსავალი ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორთან (ესკო) გაყიდვებიდან	-	1,354
სხვა შემოსავალი	117	
სულ ამონაგები მომხმარებლებითან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	5,243	22,487

2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სახელშეკრულებო ვალდებულებები არ არსებობდა. ინფორმაცია მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან აქტივების შესახებ მოცემულია მე-10 შენიშვნაში.

7. ფინანსური შემოსავალი

	2022	2021
საპროცენტო შემოსავალი საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ პირზე გაცემული სესხიდან (მე-11 და მე-17 შენიშვნები)	857	978
საკურსო სხვაობიდან მიღებული წმინდა შემოსულობა	541	19
საბანკო ანაბრებსა და მიმდინარე ანგარიშებზე საპროცენტო შემოსავალი (მე-12 შენიშვნა)	333	327
ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით განგარიშებული მთლიანი ფინანსური შემოსავალი	1,731	1,324

საკურსო სხვაობიდან მიღებული შემოსულობა და ზარალი მირითადად გამოწვეულია „კომპანიის“ აშშ დოლარებში გამოხატული აქტივებისა და ვალდებულებების გადაანგარიშებით. სავალუტო რისკი უფრო დაწვრილებით აღწერილია მე-15 შენიშვნაში.

8. მოგებიდან გადასახადები

საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილებების ამოქმედების შემდეგ, 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, კომპანიამ მთლიანად შემოაბრუნა თავისი გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ბასს 12-ის „მოგებიდან გადასახადები“ შესაბამისად, რათა გადავადებული გადასახადები შეაფასოს 0%-იანი საგადასახადო განაკვეთით, რომელიც მოქმედებს გაუნაწილებელ მოგებაზე 2017 წლის 1 იანვრიდან.

სს „ხრამპესი I“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

8. მოგებიდან გადასახადები (გაგრძელება)

2021 წელს კომპანიამ აღიარა განაწილებულ მოგებაზე მოგების გადასახადის ხარჯი 2,647 ლარის (2020 წ.: 1,588 ლარი) ოდენობით, კანონით დადგენილი მოგების გადასახადის 15/85-იანი განაკვეთის გამოყენებით გამოცხადებული დივიდენდის თანხაზე. 2022 წლის განმავლობაში მოგების გადასახადი 1,200 ლარის ოდენობით გაუქმდა მშობელი კომპანიის გადაწყვეტილების შედეგად უარი ეთქვა 6,800 ლარის ოდენობით გამოცხადებულ დივიდენდებზე 2021 წელს (მე-13 შენიშვნა). მოგების გადასახადის შემობრუნება დაანგარიშდა უარყოფილი დივიდენდების თანხაზე 15/85-ის ოდენობით კანონით დადგენილი საგადასახადო განაკვეთის გამოყენებით. ამის შემდეგ 2022 წელს კომპანიამ გამოაცხადა და გადაიხადა 350 ლარის ოდენობით დივიდენდები (მე-13 შენიშვნა) და დარიცხა შესაბამისი საგადასახადო ხარჯი 62 ლარის ოდენობით. შესაბამისად, წლის მოგების გადასახადის შემობრუნება 1,138 ლარის ოდენობით წარმოადგენს 1,200 ლარის შემობრუნების და 62 ლარის დარიცხვის ეფუქტს, რომელიც ზემოთ არის აღწერილი.

9. მირითადი საშუალებები

მირითადი საშუალებების მოძრაობა ასეთი იყო:

მიწა	შენობა-ნაგებობები	ქარხანა და მოწყობილობები	სატრანს-პორტო საშუალებები			სხვა	სულ				
			სარხანა და მოწყობილობები	დაუმთავრებელი მშენებლობა							
თვითდირებულება ან გადაფასებული ღირებულება											
2020 წლის 31 დეკემბერს											
შესყიდვები	586	18,784	11,177	819	12,311	306	43,983				
გასვლები/ჩამოწერები	-	-	366	-	2,590	25	2,981				
გადატანები	-	-	(15)	-	-	-	(15)				
2021 წლის 31 დეკემბერს	586	18,784	21,855	819	4,574	331	46,949				
შესყიდვები	-	-	66	110	5,566	64	5,806				
გასვლები/ჩამოწერები	-	-	(5)	(111)	-	(1)	(117)				
გადატანები	-	-	3,538	-	(3,538)	-	-				
2022 წლის 31 დეკემბერს	586	18,784	25,454	818	6,602	394	52,638				
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება											
2020 წლის 31 დეკემბერს											
გასვლები/ჩამოწერები	-	(183)	(324)	(59)	-	(15)	(581)				
ცვეთა წლის განმავლობაში	-	-	15	-	-	-	15				
2021 წლის 31 დეკემბერს	-	(729)	(1,319)	(222)	-	(48)	(2,318)				
გასვლები/ჩამოწერები	-	(912)	(1,628)	(281)	-	(63)	(2,884)				
ცვეთა წლის განმავლობაში	-	-	5	111	-	1	117				
2022 წლის 31 დეკემბერს	-	(729)	(1,682)	(101)	-	(53)	(2,565)				
2022 წლის 31 დეკემბერს	-	(1,641)	(3,305)	(271)	-	(115)	(5,332)				
წმინდა საბალანსო დირებულება											
2020 წლის 31 დეკემბერს	586	18,601	10,853	760	12,311	291	43,402				
2021 წლის 31 დეკემბერს	586	17,872	20,227	538	4,574	268	44,065				
2022 წლის 31 დეკემბერს	586	17,143	22,149	547	6,602	279	47,306				

სს „ხრამჭესი I“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

10. სავაჭრო დებიტორული დავალიანება

	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო დებიტორული დავალიანება საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოსგან (მე-17 შენიშვნა)	491	2,979
სხვა მომხმარებლების სავაჭრო დებიტორული დავალიანება	2	1
	493	2,980

სავაჭრო დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება და მისი ვადა, როგორც წესი, 30 დღეა. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ვადაგადაცილებული სავაჭრო დებიტორული დავალიანება არ არსებობს და არსებული ნაშთი სრულად უკავშირდება დეკემბერში განხორციელებულ გაყიდვებს. კომპანია იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის პროგრესულ მონაცემებს სავაჭრო დებიტორული დავალიანების რეზერვის შესაფასებლად. ამ მეთოდის ფარგლებში, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 2022 წლისთვის არაარსებითია და რეზერვი არ აღიარებულა.

მნიშვნელოვანი ცვლილებები სავაჭრო დებიტორული დავალიანების ნაშთებში უკავშირდება ტარიფის მნიშვნელოვნად კლებას ერთ მეტადან 0,12304 ლარიდან 0,023 ლარამდე. გაყიდვების მოცულობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მომხდარა.

11. სასესხო მოთხოვნები

	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
სასესხო მოთხოვნები 1 იანვრის მდგომარეობით	9,013	4,676
კონვერტირებული სავაჭრო დებიტორული დავალიანებიდან მიღებული მირითადი თანხა	-	6,331
მიღებული პროცენტი	(2,650)	(2,525)
ფინანსური შემოსავალი (მე-7 შენიშვნა)	(1,454)	(447)
შემოსულობა სასესხო მოთხოვნების ხელახალი შეფასებიდან	857	978
სასესხო მოთხოვნები 31 დეკემბრის მდგომარეობით	450	-
მიმდინარე	6,216	9,013
გრძელვადიანი	183	2,681
	6,033	6,332

- (ა) 2021 წლის 1 მარტს საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოს სავაჭრო დებიტორული დავალიანება 6,331 ლარის ოდენობით დაკონვერტირდა ლარში გამოხატულ პროცენტიან სესხად. სესხის დაფარვის წელი 2024, ხოლო წლიური საპროცენტო განაკვეთია 10%. 2022 წლის განმავლობაში საპროცენტო განაკვეთი 14%-ით შეიცვალა და ხელახალი შეფასები შედეგად აღიარდა სესხის მოდიფიცირებით მიღებული შემოსულობა 450 ლარის ოდენობით. ამ სესხის საბალანსო ღირებულებამ 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 6,216 ლარი შეადგინა (2021 წ.: 6,863 ლარი).
- (ბ) 2018 წლის 1 ივნისს, საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოს სავაჭრო დებიტორული დავალიანება 7,024 ლარის ოდენობით დაკონვერტირდა ლარში გამოხატულ პროცენტიან სესხად. სესხის დაფარვის წელი იყო 2021, ხოლო წლიური საპროცენტო განაკვეთია 10%. 2020 წლის ივნისში, სესხის გადა შეიცვალა და მისი დაფარვის წელი 2022-მდე გადავიდა. 2022 წელს სესხი სრულად დაიფარა - სესხის საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო ნული (2021 წ.: 2,150 ლარი).

სს „ხრამჭესი I“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

11. სასესხო მოთხოვნები (გაგრძელება)

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სასესხო მოთხოვნების ანარიცხის შეფასებისთვის კომპანიამ გამოიყენა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მომავალზე ორიენტირებული მიღებომა. ამ მეთოდის კომპანიისეული შეფასებით, წავარაუდევი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არაარსებითი იყო, შესაბამისად საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოს სასესხო მოთხოვნებთან მიმართებაში ანარიცხი არ აღიარებულა.

12. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში	9,021	6,072

ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე დარიცხულმა პროცენტმა 2022 წელს 333 ლარი შეადგინა (2021 წ.: 327 ლარი).

13. კაპიტალი

(ა) გამოშვებული კაპიტალი

2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას ჰქონდა 3,447,238 ავტორიზებული და გამოშვებული აქცია, თითოეულის ღირებულებით 0,001 ლარი. 2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აქციების 100%-ის მფლობელია „გარდაბანი ჰოლდინგი ბივი“.

(ბ) დივიდენდები

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, კომპანიას შეუძლია წმინდა მოგებიდან დივიდენდების გამოცხადება. კომპანიის ზოგიერთი გაუნაწილებელი მოგება მიღებულია 2011 წლის 1 იანვარს ფასს-ზე გადასვლის დროს მირითადი საშუალებების გადაფასებით. საქართველოს კანონში არაფერია ნათქვამი კომპანიის უფლებაზე, გაანაწილოს ასეთი რეზერვები დივიდენდების სახით.

2021 წლის განმავლობაში, კომპანიამ გამოაცხადა 15,000 ლარის ოდენობით დივიდენდები (2020 წ.: 9,000 ლარი), საიდანაც 8,200 ლარი (2020 წ.: 9,000 ლარი) ანგარიშგების თარიღისთვის ნაღდი ფულის სახით იქნა გადახდილი, ხოლო 6,200 ლარი (2020 წ.: ნული) აღიარდა გადასახდელ დივიდენტად ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში). 2022 წლის 31 იანვარს მშობელმა კომპანიამ მიიღო 2021 წელს გამოცხადებული დივიდენდების თანხის 15,000 ლარიდან 8,200 ლარით ცვლილების გადაწყვეტილება. შედეგად, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 6,800 ლარის ოდენობით გადასახდელი დივიდენდის ვალდებულება გაუქმდა. ამის შემდეგ, 2022 წელს კომპანიამ გამოაცხადა და გადაიხადა 350 ლარის ოდენობით დივიდენდები.

სს „ხრამჭესი I“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

14. სავაჭრო და სხვა კრედიტორული ვალდებულება

	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
დაკავშირებული მხარისთვის გადასახდელი მართვის მომსახურების გასამრჯელო (მე-17 შენიშვნა)	3,521	4,036
დაკავშირებული მხარისთვის გადასახდელი ტექნიკური მომსახურების გასამრჯელო (მე-17 შენიშვნა)	1,007	1,155
სავაჭრო კრედიტორული ვალდებულება მომწოდებლების მიმართ სხვა კრედიტორული ვალდებულება	33	133
	314	254
	4,875	5,578

ზემოთ მოცემული ფინანსური ვალდებულებების პირობები:

- ▶ მომწოდებლების მიმართ სავაჭრო კრედიტორული ვალდებულება უპროცენტოა და, ჩვეულებრივ, 30 დღეში იფარება;
- ▶ დაკავშირებული მხარეების მიმართ კრედიტორული ვალდებულება გამოწვეულია 2011 წლამდე შესრულებული გარიგებებით, რომლებიც არის ვადაგადაცილებული, მაგრამ გადაუხდელი, რადგან დაკავშირებულ მხარეა არ მოუთხოვა მისი დაფარვა;
- ▶ სავაჭრო კრედიტორული ვალდებულება მიმწოდებლების მიმართ და სხვა ვალდებულებები ძირითადად აშშ დოლარშია გამოხატული.

15. ფინანსური ინსტრუმენტები და რისკის მართვა

მიმოხილვა

კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები შედგება სავაჭრო და სხვა კრედიტორული ვალდებულებისგან. ამ ფინანსური ვალდებულებების ძირითადი მიზანია კომპანიის კაპიტალური და საოპერაციო ხარჯების დაფინანსება. კომპანიას აქვს პირდაპირ თავისი ოპერაციებიდან მიღებული სავაჭრო დებიტორული დავალიანება და წაღდი ფული მიმდინარე ანგარიშებზე.

კომპანიის საქმიანობისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია საკრედიტო, ლიკვიდურობის და საბაზრო რისკები.

კომპანია არის საბოლოო მშობელი კომპანიის მიერ კონტროლირებული დიდი ჯგუფის ნაწილი. ფინანსური რისკების უმეტესი ნაწილი იმართება და კონტროლდება საბოლოო მშობელი კომპანიის დონეზე. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები კომპანიას საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოების მიმართ აქვს. ფინანსური რისკის მართვის მიზანია კომპანიის ყოველდღიური ოპერაციების შესრულების უზრუნველყოფა, ოპერაციებიდან საკმარისი წაღდი ფულის მიღება, რომ დააფინანსოს საოპერაციო და მიმდინარე კაპიტალური დანახარჯები და სასესხო ვალდებულებები მესამე მხარეების მიმართ.

სს „ხრამჭესი I“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

15. ფინანსური ინსტრუმენტები და რისკის მართვა (გაგრძელება)

(ა) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ მეორე მხარე ვერ შეასრულებს ფინანსური ინსტრუმენტით ან მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და ამით კომპანიას ფინანსური ზარალი მიადგება. კომპანიას საკრედიტო რისკი ემუქრება საოპერაციო საქმიანობის (ძირითადად სავაჭრო დებიტორული დავალიანება) და ფინანსური საქმიანობის ნაწილში, ასევე ბანკებში განთავსებული ანაბრებიდან გამომდინარე.

კომპანიას აქვს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი კონცენტრაცია საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოსთან - სს „თელასი“. სს „თელასი“ მიმართ სასესხო მოთხოვნების მთლიანი რაოდენობა 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 6,216 ლარს შეადგენდა (2021 წლის 31 დეკემბერს: 9,013 ლარი). 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სს „თელასის“ მიმართ ვადაგადაცილებული საპროცენტო მოთხოვნა არ არსებობს (2021 წლის 31 დეკემბერს: 1,179 ლარი).

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია ასევე აქვს სავაჭრო დებიტორული დავალიანება საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოს - შპს „თბილისის ელექტრომიმწოდებელი კომპანია“ მიმართ - 491 ლარის ოდენობით (2021 წლის 31 დეკემბერს: 4,207 ლარი). სავაჭრო დებიტორული დავალიანება შპს „თბილისის ელექტრომიმწოდებელი კომპანიის“ მიმართ უკავშირდება დეკემბრის გაყიდვებს და ის ვადაგადაცილებული არ არის.

ამ ჯგუფის შიგნით ვადაგადაცილებული ნაშთების და სხვა ფინანსური ინსტრუმენტების დაფარვას მართავს საბოლოო მშობელი კომპანია, ჯგუფში ფულადი რესურსების საჭიროების, და არა ინსტრუმენტების ვადიანობის მიხედვით. ხელმძღვანელობის აზრით, სს „თელასი“ და შპს „თბილისის ელექტრომიმწოდებელი კომპანია“ გადახდისუნარიანი საწარმოებია და დამატებითი ფულადი სახსრების საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება ვადადამდგარი თანხების ამოღება, შესაბამისად მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არაარსებითად ჩაითვალა და მათგან მისაღებ თანხებზე ანარიცხი არ გაკეთებულა.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მთლიანად საერთაშორისო საკრედიტო რეიტინგის მქონე სამ უმსხვილეს ქართულ ბანკშია განთავსებული. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები არც გაუფასურებულია და არც ვადაგადაცილებული.

საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა საანგარიშგებო თარიღისთვის:

	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო დებიტორული დავალიანება (მე-10 შენიშვნა)	493	2,980
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (მე-12 შენიშვნა)	9,021	6,072
სასესხო მოთხოვნები (შენიშვნა 11)	6,216	9,013
	15,730	18,065

სს „ხრამქესი I“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

15. ფინანსური ინსტრუმენტები და რისკის მართვა (გაგრძელება)

(ბ) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანიას გაუჭირდება ფინანსური ვალდებულებების შესრულება, რაც გულისხმობს მათ დაფარვას ფულადი სახსრებით ან სხვა რომელიმე ფინანსური აქტივით. ლიკვიდურობის მართვის მიმართ კომპანიის მიდგომაა, შეძლების დაგვარად იმის უზრუნველყოფა, რომ ყოველთვის ჰქონდეს ვადამოსული ვალდებულებების დაფარვისთვის საკმარისი ლიკვიდურობა როგორც ნორმალურ, ისე სტრუსულ პირობებში, დაუშვებელი დანაკარგების განცდისა და კომპანიის რეჟუტაციისთვის საფრთხის შექმნის გარეშე.

ლიკვიდურობის რისკის გონივრული მართვა გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულადი სახსრების შენარჩუნებას და დაფინანსების ხელმისაწვდომობას საკმარისი საკრედიტო თანხების საშუალებით. კომპანიას მიმდინარე ვალდებულებები მირითადად დაკავშირებული მხარეების მიმართ აქვს და მიმდინარე აქტივებიც დაკავშირებული მხარეებისგან აქვს მისაღები. ამიტომ კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ეს ანიჭებს კომპანიას საკმარის მოქნილობას ვალდებულებების დაფარვის / აქტივების მიღების ვადებთან მიმართებით, რაც აუცილებელია მომავალში ბიზნესის ადეკვატური ლიკვიდურობის უზრუნველსაყოფად. ანგარიშგების თარიღის მდგომარეობით, კომპანიის მიმდინარე აქტივებმა მის მიმდინარე ვალდებულებებს გადააჭარბა.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოცემულია კომპანიის ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი ხელშეკრულებით გათვალისწინებული არადისკონტრიბული გადახდების საფუძველზე:

2022 წლის 31 დეკემბერი	სახელშეკ- რულებო					
	საბალანსო ღირებულება	ფულადი ნაკადები	მოთხოვ- ნამდე	0-დან 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე
ფინანსური ვალდებულებები საიჯარო ვალდებულებები სავაჭრო და სხვა კრედიტორული ვალდებულება (მე-14 შენიშვნა)	95	108	-	-	14	94
	4,875	4,875	4,528	347	-	-
	4,970	4,983	4,528	347	14	94

2021 წლის 31 დეკემბერი	სახელშეკ- რულებო					
	საბალანსო ღირებულება	ფულადი ნაკადები	მოთხოვ- ნამდე	0-დან 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე
ფინანსური ვალდებულებები საიჯარო ვალდებულებები სავაჭრო და სხვა კრედიტორული ვალდებულება (მე-14 შენიშვნა)	24	27	-	7	20	-
	5,578	5,578	5,191	386	-	-
გადასახდელი დივიდენდები (13 შენიშვნა)	6,800	6,800	-	6,800	-	-
	12,402	12,405	5,191	7,193	20	-

სს „ხრამჭები I“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

15. ფინანსური ინსტრუმენტები და რისკის მართვა (გაგრძელება)

(გ) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამომავლო ფულადი ნაკადების სამართლიანი ღირებულება ცვალებადი იქნება საბაზრო ფასების მერყეობის გამო. საბაზრო ფასები ორი ტიპის რისკს შეიცავს: საპროცენტო განაკვეთის რისკსა და სავალუტო რისკს. ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებზეც საბაზრო რისკები მოქმედებს, მოიცავს სესხებს ბანკში.

ქვემოთ წარმოდგენილი მგრძნობელობის ანალიზები მოცემულია 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. მგრძნობელობის ანალიზი მომზადებულია იმ საფუძველზე, რომ წმინდა ვალის ოდენობა, სესხის განაკვეთის პროფილი და ფინანსური ინსტრუმენტების პროპორციული წილი უცხოურ ვალუტებში მუდმივია.

კომპანიას აქვს საპროცენტო განაკვეთის რისკი იმის გამო, რომ ყველა მის ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი აქვს.

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან სამომავლო ფულადი ნაკადები ცვალებადი იქნება სავალუტო კურსის მერყეობის გამო. კომპანიისთვის დამახასიათებელი სავალუტო რისკი ძირითადად უკავშირდება უცხოურ ვალუტაში გამოხატულ ფინანსურ ვალდებულებებს.

კომპანია არ ახდენს გაცვლითი კურსის რისკის წინააღმდეგ ჰეჯირებას. ქვემოთ პირობითი თანხებით მოცემულია კომპანიის სავალუტო რისკები:

	აშშ დოლარში გამოხატული	
	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
საგაჭრო და სხვა კრედიტორული ვალდებულება	(4,528)	(5,191)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	840	982
რისკის ნეტო ოდენობა	(3,688)	(4,209)

აშშ დოლართან მიმართებაში ლარის გამყარება/გაუფასურება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოვების ან ზარალის ქვემოთ წარმოდგენილ თანხებს შემდეგნაირად გაზრდიდა/(შეამცირებდა). ანალიზი ეყრდნობა სავალუტო კურსების მერყეობას, რომელიც კომპანიის აზრით მოსალოდნელი იყო ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის. ანალიზი ეფუძნება დაშვებას, რომ ყველა დანარჩენი ცვლადი მუდმივი რჩება.

	გამყარება	გაუფასურება
2022 წლის 31 დეკემბერი		
აშშ დოლარი (20%-იანი ცვლილება)	738	(738)
2021 წლის 31 დეკემბერი		
აშშ დოლარი (20%-იანი ცვლილება)	842	(842)

სს „ხრამჭესი I“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

15. ფინანსური ინსტრუმენტები და რისკის მართვა (გაგრძელება)

(დ) სამართლიანი ღირებულებები

კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებების ანალიზი შესაძლებელია შემდეგნაირად:

	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი		
	საბალანსო	სამართლიანი	საბალანსო	სამართლიანი
დონე	ღირებულება	ღირებულება	ღირებულება	ღირებულება

ფინანსური აქტივები

სავაჭრო დებიტორული დავალიანება
(მე-10 შენიშვნა)

დონე 3 493 493 2,980 2,980

ფულადი სახსრები და მათი

დონე 1 9,021 9,021 6,072 6,072

ეკვივალენტები (მე-12 შენიშვნა)

დონე 3 6,216 5,803 9,013 9,013

სასესხო მოთხოვნები (მე-11 შენიშვნა)

ფინანსური ვალდებულებები

საიჯარო ვალდებულებები

დონე 3 95 90 24 24

სავაჭრო და სხვა კრედიტორული

დონე 3 4,875 4,875 5,578 5,578

ვალდებულება (მე-14 შენიშვნა)

სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული იყო შემდეგი მეთოდები და დაშვებები:

- ▶ ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების, სავაჭრო და სხვა კრედიტორული ვალდებულების და სავაჭრო დებიტორული დავალიანების სამართლიანი ღირებულება დაახლოებით ტოლია მათი საბალანსო ღირებულებისა, ამ ინსტრუმენტების დაფარვის მოკლე ვადის გამო;
- ▶ სასესხო მოთხოვნების და საიჯარო ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხილციელდება მომავალი ფულადი ნაკადების დასკონტირებით მოქმედ ბაზარზე საანგარიშო თარიღისათვის არსებული განაკვეთების გამოყენებით.

სამართლიანი ღირებულებით შეფასებული აქტივები იზღუდება გადაფასების მოდელის გამოყენებით შეფასებული მირითადი საშუალებებით და სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-3 დონეს განეკუთვნება.

(ე) კაპიტალის მართვა

კომპანიას არ აქვს კაპიტალის მართვის ოფიციალური პოლიტიკა, მაგრამ ხელმძღვანელობა ცდილობს კაპიტალის საკმარისი ბაზის შენარჩუნებას (განისაზღვრება კომპანიის ფასს სტანდარტების მიხედვით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული კაპიტალის თანხის საფუძველზე), რომ დააკმაყოფილოს კომპანიის საოპერაციო და სტრატეგიული მიზნები.

სს „ხრამჭესი I“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

16. პირობითი ვალდებულებები

საგადასახადო გარემო

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხშირია საკანონმდებლო ცვლილებები, ოფიციალური განცხადებები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად ბუნდოვანი და ურთიერთსაწინააღმდეგოა და სხვადასხვაგვარად შეიძლება იქნეს გაეხული. თუ იმ წლის ბოლოდან, რომელშიც საგადასახადო კანონმდებლობა დაირღვა, ექვსი წელია გასული, საგადასახადო ორგანოებს არ აქვთ უფლება დააკისრონ დამატებითი გადასახადები, ჯარიმა ან საურავი.

ამ გარემოებებმა შეიძლება დამატებითი საგადასახადო რისკები შექმნან საქართველოში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ მან ადეკვატურად გაითვალისწინა საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების საკუთარი ინტერპრეტაციის საფუძველზე. მაგრამ შესაბამისი ორგანოების ინტერპრეტაცია შეიძლება განსხვავდებოდეს კომპანიის ინტერპრეტაციისგან და თუ ისინი შეძლებენ თავიანთი ინტერპრეტაციის განხორციელებას, ამას შესაძლოა მნიშვნელოვანი ზეგავლენა ჰქონდეს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ანგარიშგების თითოეული თარიღისთვის ხელმძღვანელობა აფასებს თავის საგადასახადო პოზიციას და განიხილავს იმ გარიგებებს, რომლებიც შეიძლება ეჭვეჭვეშ დააყენონ საგადასახადო ორგანოებმა. როდესაც არსებობს ვარაუდი, რომ ამგვარი გამოწვევის შედეგად წარმოიშვება დამატებითი საგადასახო ვალდებულება, კომპანია აღიარებს ანარიცხს მის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

კონფლიქტი უკრაინაში

უკრაინაში კონფლიქტის შედეგად ბევრმა წამყვანმა ქვეყანამ და ეკონომიკურმა კავშირმა უმკაცრესი ეკონომიკური სანქციები დაუწესა რუსეთს, მათ შორის რუსულ ბანკებს, სხვა საწარმოებსა და ფიზიკურ პირებს. კონფლიქტის დაწყების შემდეგ რუსული რუბლი უცხოურ ვალუტებთან მიმართებით მნიშვნელოვნად გაუფასურდა, ასევე გაუფასურდა რუსული კომპანიების ფასიანი ქაღალდების ღირებულება. სიტუაცია ჯერ კიდევ ვითარდება, თუმცა უკვე გამოიწვია ჰუმანიტარული კრიზისი და უზარმაზარი ეკონომიკური ზარალი უკრაინაში, რუსეთსა და დანარჩენ მსოფლიოში. უკრაინა და რუსეთი საქართველოს მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორები არიან. მოსალოდნელია, რომ ომს უარყოფითი გავლენა ექნება საქართველოს ეკონომიკაზე.

სს „ხრამქესი I“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

16. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

კონფლიქტი უკრაინაში (გაგრძელება)

კომპანიის საბოლოო მშობელ კომპანიას რუსეთის ფედერაცია აკონტროლებს. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოცემის თარიღის მდგომარეობით, არც კომპანია და არც საბოლოო მშობელი კომპანია არ იყო სანქცირებული ევროკავშირის, აშშ-ის და გაერთიანებული სამეფოს მიერ. კომპანია საქართველოში სანქცირებული არ არის. კომპანიას არ აქვს სავაჭრო ოპერაციები მის საბოლოო მშობელ კომპანიასთან და საბოლოო კრედიტორული დავალიანების ნაშთი უკავშირდება მართვის და ტექნიკურის საფასურის კრედიტორულ დავალიანებას 4,528 ლარის ოდენობით (მე-14 და მე-17 შენიშვნები). გარდა ამისა, კომპანიას არ აქვს ოპერაციები რუსეთში, უკრაინაში, გაერთიანებულ სამეფოში, აშშ-ში ან ევროკავშირში და მისი ბიზნეს საქმიანობების უმეტესობას საქართველოს ტერიტორიაზე ახორციელებს. ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, გვჯერა, რომ კომპანიის ბიზნეს საქმიანობებთან დაკავშირებული აშკარა და მიმდინარე საფრთხეები არ არსებობს, თუმცა, რადგან კონფლიქტი კვლავ მიმდინარეობს, შეუძლებელია იმ გავლენის საიმედოდ შეფასება, რომელიც მას შესაძლოა ჰქონდეს კომპანიის ბიზნესზე, რადგან გაურკვეველია ზოგადად ეკონომიკაზე მისი გავლენის სიმძლავრე.

17. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

(i) გარიგებები ხელმძღვანელობასთან

კომპანიის ხელმძღვანელი გუნდის წევრებმა

2022 წლის განმავლობაში 218 ლარის ოდენობის ანაზღაურება მიიღეს (2021 წ.: 199 ლარი), რაც ასახულია ხელფასებში, ბონუსებსა და დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოებში.

(ii) შემოსავალი

მოთხოვნები	მოთხოვნები
დაკავშირებული დაკავშირებული	დაკავშირებული
გაყიდვები გაყიდვები	მხარეების მიმართ მხარეების მიმართ
დაკავშირებულ დაკავშირებულ	2022 წლის 31 2021 წლის 31
<u>მხარეებზე 2022 წ. მხარეებზე 2021 წ.</u>	<u>დეკემბრისთვის დეკემბრისთვის</u>

ელექტროენერგიის გაყიდვა
საერთო კონტროლს

დაქვემდებარებული პირები
(მე-6 და მე-10 შენიშვნები)

4,634

17,316

491

2,979

გაყიდვები ხდება სემეკის მიერ დამტკიცებული ტარიფებით.

სს „ხრამჭესი I“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

17. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

(iii) სავაჭრო და სხვა კრედიტორული ვალდებულება

	ვალდებულებები დაკავშირებული მხარეების მიმართ 2022	ვალდებულებები დაკავშირებული მხარეების მიმართ 2021
	წლის 31 დეკემბრისთვის	წლის 31 დეკემბრისთვის
საბოლოო მშობელი კომპანიის მიმართ		
მართვის მომსახურების გასამრჯელო (მე-14 შენიშვნა)	3,521	4,036
ტექნიკური მომსახურების გასამრჯელო (მე-14 შენიშვნა)	1,007	1,155
	4,528	5,191

(iv) გაცემული სესხები

მთლიანი სასესხო მოთხოვნების წაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 6,216 ლარს (2021 წლის 31 დეკემბერს: 9,013 ლარი). 2022 წლის საპროცენტო შემოსავალმა შეადგინა 857 ლარი (2021 წ.: 978 ლარი). ხელახალი შეფასებიდან მიღებული შემოსულობა 450 ლარის ოდენობით (2021 წ.: ნული) ასევე უკავშირდება საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოს მიმართ არსებულ სასესხო მოთხოვნებს (მე-11 შენიშვნა).

18. მნიშვნელოვანი არაფულადი ოპერაციები

	2022	2021
გამოცხადებული დივიდენდების უარყოფა (მე-13 შენიშვნა)	6,800	-
დივიდენდებზე დარიცხული მოგების გადასახადის კრედიტორული დავალიანების შემობრუნება, წმინდა (მე-8 შენიშვნა)	1,138	-
გამოცხადებული დივიდენდები (მე-13 შენიშვნა)	(350)	(15,000)
სავაჭრო დებიტორული დავალიანების სესხად გარდაქმნა	-	6,331